აპრილი
1930 წ.
№ 4

საქართველო

AVRIL
1930
№ 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა

« SAKARTUELLO »

« LA GÉORGIE » Organe du Parti-National-Démocrate géorgien

რას ემუქრება ჩვენი იმედები?

I.

ამ კითხვას ხშირად აყენებენ. ხშირად გაიგონებთ მღელვარე სიტყვას იმის შესახებ, თუ რა იყო საქართველო ორი თუ სამი ათასი წლის განმავლობაში. რა გმირობით ებრძოდა იგი არაბებს, მონგოლებს, სპარსელებს თუ თურქებს და როგორ შეინარჩუნა მან თავის მიწაწყალი და თავის კულტურა... ეს ძალიან კარგია და მეტად პატივსაცემი. მეტად სამწუხარო იქნებოდა, რომ ჩვენ ჩვენი წარსულიც არ გვახსოვდეს და უფრო სამწუხარო, რომ ამ წარსულის მოგონებით პატრიოტული ნაპერწკალიც არ გვეხთებოდეს თვალებში... მაგრამ ყველაფერი ეს საქმეს ვერა ჰშველის. რა ვუყოთ მერე, რომ ვყოფილვართ თვალსაჩინო ერი? განა ცოტა ყოფილა უფრო სახელოვანი ხალხიც, რომლის კულტურა ჰჭრიდა საუკუნეთა სიბნელეს და შვენებით ამკობდა კაცობრიობას? ეხლა იქ, სადაც ჰდუღდა ამისთანა ცხოვრება, ხშირად ქვიშაა და უდაბნო: მოდიან მეცნიერები, ჰთხრიან ამ ქვიშას და მიწის ქვეშ ეძებენ წარსულ დიდების ნაშთებს.

დღევანდელი საქართველოც ჰდგას დიდი საშიშროების წინაშე. ისტორიული მოსახვევი საშინელია და საპასუხისმგებლო. როგორ უნდა მივუდგეთ საქართველოს პრობლემას? როგორ უნდა გადავარჩინოთ ერი გაწყვეტას და განადგურებას? როგორ გამოვიყვანოთ იგი მსოფლიო ევოლიუციის ფართო და მშვიდობიან გზაზე?

«სამშობლო»-ს აზრით (№ 5-6) ამაზე ადვილი არაფერია: უნდა მხოლოდ უარვყოთ ეროვნული მთავრობა და მერე ყველაფერი თავისთავად მოეწყობა. «სამი ათასი წელი, ამბობს იგი, გაუტარებია საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოკლებული და იმედია მომავალშიც იარსებებს უამისოდ.» რა საკვირველია: ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მენშევიკური მთავრობა იყოს მუდმივი და უცვლელი! მაგრამ რა შუაშია აქ სამი ათასი წელი? ნუთუ ყველაფერი, რაც სამი ათასი წელი არა გვქონია, არ არის მისაღები და ანგარიშის გასაწევი? სამი ათასი წელი ჩვენ რესპუბლიკაც არა გვქონია: უარი ვყოთ?! არ გაგვიგონია არაფერი ერთა ლიგაზე: არ გავუწიოთ ანგარიში?!.

მე არ მინდა გავამასხარავო «სამშობლოს» თეზისები. ის სერიოზულად ჰცდილობს დაამტკიცოს, რომ ეროვნულ მთავრობას, ეხლანდელ ჩვენს პირობებში, არა აქვს არავითარი მნიშვნელობა: ის შეიძლება გაუქმებულ იქმნას და მის ადგილას დაჰჯდეს რომელიმე მოხალისე. ამ მოხალისეს ექნება ევროპის თვალში ისეთივე წონა და მნიშვნელობა, როგორც კანონიერ მთავრობას. ამის მაგალითს ისტორია ვითომდა ბევრს იძლევა... ვწუხვარ, რომ ავტორს არ მოჰყავს არც ერთი. ვერც მოიყვანს, ვინაიდან ამისთანა მაგალითი არ ყოფილა და არ არსებობს.

ფაქტი ასეთია: რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და განდევნა მისი ტერიტორიიდან კანონიერი მთავრობა. თუ ანალოგიაზე მიჰდგა საქმე, ჩვენ გვაქვს ორი მაგალითი: სერბიის და ბელგიისა. სერბია დაიპირა ავსტრიამ, ბელგია-გერმანიამ; ორივე ქვეყნიდან განდევნილ იქმნა მათი კანონიერი მთავრობა. ვის ელაპარაკებოდა მაშინ ევროპა და ვის უწევდა ანგარიშს: ამ განდევნილ მთავრობებს თუ ვინმე მოხალისეებს?! რა ბრძანებაა, ასეთი მოხალისე არც კი გამოჩენილა. ან ვინ იქნებოდა ისე «ჭკუიანი», რომ ეთქვა: «განდევნილ მთავრობას მნიშვნელობა არა აქვსო, ეხლა მე ვარ ქვეყნის წარმომადგენელიო!»

«სამშობლოს» ეს უტყუარი ფაქტები არც კი აგონდება. იმას მოჰყავს სხვა მაგალითი, რომელიც მართლა სამაგალითოა, როგორც საბუთი სრული გაუგებრობისა. მას მოჰყავს პოლონეთის ისტორიიდან პილსუდსკის და დმოვსკის ამბავი, 1918 წელს. მაგრამ ამ წელს, არც პილსუდსკი, არც დმოვსკი არ ყოფილან პოლონეთიდან განდევნილი, როგორც ამ ქვეყნის საერთაშორისოდ ცნობილი კანონიერი მთავრობა; პოლონეთს თავზე არ დასხმია უცხო სახელმწიფოს აგრესსიული იმპერიალიზმი და არ გაუუქმებია პოლონეთის სუვერენული უფლებანი... მთელი საკითხი სწორედ აქ არის, აქ არის მთელი სიმძიმე დაყენებულ საერთაშორისო პრობლემისა!

მაგრას აბა რა პრობლემაზე უნდა ველაპარაკოთ ისეთ ხალხს, რომელსაც ვერც კი გაუგია ის უბრალო აზრი, რომ გამოცვლა თუ გადაყენება მთავრობისა ყოველ თავისუფალ სახელმწიფოში მხოლოდ შინაური პოლიტიკის საკითხია; ამის წესი და რიგი განსაზღვრულია მის კონსტიტუციაში; დამხობა კი მთავრობისა უცხო ქვეყნის თავდასხმით არის დამხობა ეროვნული სუვერენობის და ამიტომ მიუღებელი, როგორიც რომ არ იყოს განდევნილი მთავრობა.

ეს რომ ნათელ ვყოთ, ჩავაყენოთ საქართველოს პრობლემა მსოფლიო მოძრაობის პერსპექტივებში. არის პრინციპები, რომლებიც ანათებენ გზებს და არის სიმაღლეები, საიდანაც აშკარად მოსჩანს ამ გზების მიმართულება.

II.

დაინგრა ოთხი იმპერია: გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი და ოსმალეთი.

წამოჰყვეს თავი დამონებულ ერებმა. ბევრი იყო საკმაოდ მომზადებული და განვითარებული, ბევრსა ჰქონდა ვრცელი ისტორია, მდიდარი ლიტერატურა, მთლიანი ტერიტორია; ბევრი ემზადებოდა ამ გადატეხის ჟამისათვის და ბევრმაც წამოანთო გადაწყვეტილი ნებისყოფა იხსნას თავი ბორკილებიდან და თავის შემოქმედებას გაუხსნას თავისუფალი გზა და გასაქანი. ასეთი იყვნენ ჩეხები, იუგოსლავები, რუმინელები, პოლონელები, უკრაინელები, ქართველები და ზოგიც სხვა. გადაიშალა შუა ევროპიდან მოყოლებული ვიდრე ჩინეთის საზღვრებამდე, მთელი ოკეანე სხვა და სხვა ხალხის, სჯულის და კულტურის. ოკეანე ჰღელავდა. საჭირო იყო მისი დამშვიდება. დამშვიდება კი შეიძლებოდა მხოლოდ თითეულ ერის მის ბუნებრივ კალაპოტში ჩაყენებით. ჩაჰდგა კიდეც. დაიბადა ბევრი ახალი სახელმწიფო. გარდაიქმნა ევროპის და აზიის რუკა. დამყარდა ახალი ტერიტორიალური Statu quo, რომლის დარაჯად დაჰდგა ერთა ლიგა,—სრულებით ახალი დაწესებულება კაცობრიობის ისტორიაში.

ავსტრო-უნგრეთის ბატონობა დაემხო სრულებით, რუსეთის—ნახევრად; გერმანია შეზღუდულ იქმნა. მის წინ აღიმართა ზღუდე განთავისუფლებულ ერებისა: ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და პოლონეთი. ასეთივე ზღუდე შემოერტყა დასავლეთით რუსეთს: ფინლანდია, ესტონია, ლეტონია, ლიტუანია, პოლონეთი და რუმინია. ჩვენ ვხედავთ, ერთა განთავისუფლება ჰნიშნავს იმპერიალიზმის დამხობას და იმპერიალიზმის დამხობას შედეგად მოსდევს ერთა განთავისუფლება.

ასეთი იყო მიმართულება ევროპის პოლიტიკის, როცა მას წინ გადაეღობა ბნელი ძალა, ამომსქდარი წარსულ საუკუნეთა სიბნელედან. ეს ძალა იყო ჩამორჩენილ რუსეთის ახალი იმპერიალიზმი. მან წაჰლეკა ბევრი განთავისუფლებული ერი და აღადგინა ისევ ტეროორით და ჩინგიზხანური მეთოდით დანგრეული იმპერია.

აქ იბადება საკითხი: არის თუ არა რამ საიმედო ძალა, რომელმაც უნდა ბოლო მოუღოს ამ იმპერიალიზმს?

რა საკვირველია. ერთი არის შიგნით, მეორე—გარედ; პირველია—ეროვნული მოძრაობა, მეორე—შიში აგრესიული იმპერიალიზმისა.

შიგნით: უკრაინაში არის 35 მილიონი ხალხი; მას უჭირავს ერთი მილიონი ტერიტორია და მისი კულტურული დონე და ეროვნული ღირსების შეგნება ეჭვის გარეშეა. კავკასიაში 10 მილიონია, მისი კულტურული განვითარება უკვე ცნობილია თვით ევროპის მიერ (საქართველოს შესახებ მაინც) და მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის სისხლით არის აღბეჭდილი ისტორიის ძველს და ახალ ფურცლებზე. თურქესტანში 12 მილიონია, რომელიც ვერ ურიგდება რუსეთის ბატონობას და განაგრძობს შეურიგებელ ბრძოლას თავისუფლების მოსაპო-

---

ორი მღვდელმთავარი

ეს იყო გადამჭრელი წამი, ამბობს რენანი თავის «იესო ქრისტეს ცხოვრებაში» იესო ქრისტეს ბზობას იერუსალიმში შესვლის შესახებ. ქრისტემ კარგათ იცოდა, ამბობს მწერალი, იერუსალიმს ხალხი ოსანას გალობით დაუხვდებოდა, ოღონდ ეს ოსანა იქნებოდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელიც აღავსებდა ტაძრის მსახურთა მოთმინების ფიალას და სასიკვდილოთ გააწირვინებდა მათ მის თავს. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თუ არ სიცოცხლის შეწირვით, თუ არ უდიდეს მსხვერპლის მიტანით, ვერ შეჰქმნიდა ახალ რჯულს. რენანის სიტყვით, რასაც ქრისტე ქადაგებდა, იმასვე ქადაგებდა მასზე ადრე ვინმე გილელი და მეტნაკლებად ბევრი სხვანიც, და თუ მათი ქადაგება ვერ დაედო საფუძვლად ახალ რჯულს, ამის მიზეზი იყო ის, რომ მათ ვერ აღბეჭდეს თავიანთი მოძღვრება ისეთის მსხვერპლით, რომელსაც უნდა გაემტკიცებინა იგი.

იესო ქრისტემ მსხვერპლის მიტანის სასარგებლოდ გადასწყვიტა საკითხი; ოსანას გალობაზე შევიდა იერუსალიმს და რამდენიმე დღის შემდეგ ჯვარცმულ იქმნა; თავისის სისხლით და ხორცით აზიარა კაცობრიობა სიყვარულის უმაღლესს და უწმინდესს მცნებას.

შეიქმნა ახალი რჯული, დამყარდა ქრისტიანობა!

ასეთი იყო ანდერძი, რომელიც დაუდვა ქრისტემ მის მიერ შექმნილ ეკლესიას, და ეკლესიამაც მტკიცეთ მისდია მოცემულ მაგალითს. გავიხსენოთ ქრისტიანთა დევნა ძველს რომში; გავიხსენოთ სხვა დროის წამებულნი, რომელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ეკლესიის წმიდა მოწამეთა.

გავლენ საუკუნენი, და, თუ სავსებით არა, ქრისტიანულმა მორალმა,—მოყვასის შენდობის, მისის შებრალების და სიყვარულის მოძღვრებამ,—იმდენათ გარდაქმნა, შესცვალა და აამაღლა მაინც ადამიანის ბუნება, რომ წამებულობის საჭიროება მოისპო, და რჯულისათვის დევნა და წამება ისტორიულ მოგონებათ გახდა.

ასე გვეგონა მაინც ამ უკანასკნელ დრომდე, მაგრამ მეოცე საუკუნის დამდეგსაც შესაძლებელი ჰყოფილა თურმე ნერონისა და კალიგულას დროისებური, და უარესიც, რჯულის დევნა.

მოსკოველმა ხელისუფლებამ, თითქოს საკმარისი არ ყოფილიყოს მის მიერ დაღვრილ სისხლის ზღვა, რომ ყველას დაენახა, რა სიმდაბლემდე და სიმხეცემდე შესაძლებელია დაეცეს ადამიანი, დაუწყო დევნა რჯულსა და ეკლესიას, და არა ერთს, არამედ ყველა არსებულს,—ხურავს ეკლესიებს, ანგრევს და აფეთქებს სავანეთ და მონასტრებს, ხოლო მორწმუნეთ ხვრეტს და ხოცავს. ან კი რა მოეთხოვება მას, ვინც ირქმევს «უღმერთოს» სახელს და თავი მიაქვს კიდეც ასეთის სახელწოდებით. ერთი დავიწყნია მხოლოდ,—უღმერთოება არ ნიშნავს ურელიგიობას, არამედ სიბოროტის უკიდურესობას.

დადგა დღე უდიდესს განცდის მღვდელმთავართა და ეკლესიის მსახურთათვის.

დადგა დრო მასწავლებლის მიერ მოცემულ მაგალითის და ანდერძის შესრულებისა.

და როგორ გაიგეს ამ უდიდესს მოვალეობის აღსრულება ეკლესიის დღევანდელმა მსახურებმა?

პასუხად იმ საერთო აღშფოთების და აღშფოთებით გამოწვეულ გამოსვლებისა მთელს ქვეყნიერებაში, მოსკოველმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა რუსეთის მღვდელმთავარ სერგის განცხადება, რომელიც უარსჰყოფდა ეკლესიის დევნას რუსეთში.

პირველში არავინ დაიჯერა ეს განცხადება და მოსკოვის მორიგ სიყალბედ ჩათვალეს, მაგრამ ცოტა ხანს უკან გამოქვეყნდა ერთი იტალიელ კორესპოდენტის წერილი, რომელმაც დაადასტურა მიტ. სერგის განცხადების სინამდვილე და მოგვიყვა კიდეც, თუ როგორ იყო გაკეთებული ეს განცხადება.

ჩვენ (უცხოელ კორესპოდენტებს), სწერს კორესპოდენტი, შეგვადგენინეს მიტრ. სერგისათვის გადასაცემ კითხვების სია და ორის დღის შემდეგ მიგვიპატიჟეს მის ბინაზეო. აქ, კარგა დიდიხნის ლოდინის შემდეგ, გამობრძანდა მიტრ. სერგი და უსიტყვოდ გადმოგვცა ჩვენ მიერ დასმულ კითხვების საწერ მაშინაზე დაბეჭდილი პასუხი. პასუხს ქვემოდ შენიშვნა ჰქონდა,—თუ რამ გაუგებარი დაგრჩათ ან ახალი რამ კითხვა გაქვთო, დასწერეთ და ამავე წესით მიიღებთ პასუხსაო. გადმოგვცა ეს ქაღალდი და ისევ ისე ხმაამოუღებლივ გაბრუნდა, როგორც შემოვიდა.

ამრიგათ დამტკიცდა, რომ მიტრ, სერგიმ მართლაც უარყო ეკლესიების და მათ მსახურთა დევნა რუსეთში, რომ ეს უარი ძალად ათქმევინეს და რომ მიტრ. სერგის ასეთი განცხადება სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

ყველა ეს ადვილი ამოსაკითხავია ზემოხსენებულ კორესპოდენტის ნაამბობიდან.

აქაურ რუსულ გამოცემებში დაისტამბა რამდენიმე წერილი, რომელშიაც ავტორები გამოსთქვამდენ აღშფოთებას იმის გამო, რომ ეკლესიის უფროსმა მღვდელმთავარმა სიმართლეს უღალატა და მოსკოველ დიქტატორების ბოროტებას ხელი წააფარა.

ვიღაც ანონიმი ავტორი გამოეხმაურა ამ წერილებს,—ერთ ერთ აქაურ რუსულ გაზეთში მოათავსა ვრცელი წერილი, რომელშიაც შეეცადა მიტროპოლიტ სერგის გამართლებას. მიტროპოლიტი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეუ-

ებლად. რუსეთის დაშლა და ერთა განთავისუფლება—ისტორიული პროცესია, რომლის შეჩერება არ შეუძლია არავითარ ძალას.

გარეთ: ბოლშევიკური იმპერიალიზმი შეუდარებლად უფრო საშიშარია, ვიდრე იყო წინეთ ცარისტული. უწინდელი რუსეთი ემუქრებოდა მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოებს და მათ ტერიტორიას; ეხლანდელი კი ემუქრება ყველას, ახლო თუ შორს მდებარე ქვეყნებს, და ემუქრება არა მარტო მათ ტერიტორიულ ნაწილს, არამედ თვით მათ წესწყობილებას, მათ არსებობის ეროვნულ და სოციალურ საფუძვლებს. მას ადვილად გადააქვს თავის მოქმედება ყოველ სახელმწიფოში ყველგან ამზადებს აჯანყებებს, და თუ სადმე ამ აჯანყებამ გაიმარჯვა, ის ქვეყანა eo facto შედის საბჭოთა კავშირში. შეურიგებელი ბრძოლა ბოლშევიკური რუსეთის და განათლებულ ქვეყნების შორის—ფაქტია: ამას არავინ ჰმალავს, ამაზე არავინ ჰდავობს. საკითხავია მხოლოდ, როდის მოჰხდება პირდაპირი შეტაკება ამ ორი ბანაკისა? ვფიქრობთ, ეს დღე შორს არ არის, თუ მანამდე ბოლშევიკური სისტემა თვითონ არ დაიშალა ან არ დაემხო შინაურ ძალების აფეთქებით. ორივ შმთხვევაში შედეგი ერთი და იგივეა: განთავისუფლება დამონებულ ერებისა.

რუსეთი იშლება და უნდა დაიშალოს, როგორიც არ იყოს მისი მთავრობა. ამას ითხოვს ინტერესი მსოფლიო მშვიდობიანობისა. ამას მოითხოვს განმტკიცება ლიმიტროფების და განსაკუთრებით პოლონეთის, ვინაიდან დაცემა პოლონეთის იქნება დანგრევა იმ ტერიტორიულ Statu quo-სი, რომელიც დამყარდა ევროპაში და რომლის დარაჯად ჰდგა ერთა ლიგა... რუსეთი უნდა დაიშალოს. იქნებ ამაშია პროვინდენციალური დანიშნულება სტალინისა.

ჩვენი იმედებიც ემყარება ამ ორ ფაქტორს: ერთი არის იდეა ეროვნულ თავისუფლებისა, მეორე—იდეა მშვიდობიანობის განმტკიცებისა. პირველი—სულის კვეთებაა დამონებულ ერებისა, მეორე—სასიცოცხლო ინტერესი თავისუფალ ქვეყნებისა. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს ეთანხმება, ერთ მანეთს ეყრდნობა, ერთი მეორეს ამაგრებს და მათი შეწყობილი განვითარება ჰქმნის საერთო მოძრაობას და ჰცვლის პოლიტიკურ გეოგრაფიას.

ამ გეოგრაფიაში საქართველოს უჭირავს თავისი ადგილი.

III.

მხოლოდ საჭიროა ამ ადგილის გაგება და დაფასება. ამ მხრივ ოსმალეთის მაგალითი იძლევა ბევრს საგულისხმიერო გაკვეთილებს.

პრინციპი ეროვნული თავისუფლებისა უდავოა თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად მისი გატარება ხშირად შეუძლებელია. ყველა ხალხი არ არის ერთნაირად მომზადებული, ყველას არა აქვს ერთნაირი მინიმუმი პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებისა, ყველა არა ჰდგას ერთნაირ კულტურულ დონეზე და ყველასკი არ შეუძლია თვითონ მოუაროს თავის თავს, მოკლედ რომ ვსთქვათ: დააარსოს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ, როცა დაინგრა ოთხი იმპერია და წინ გადიშალა ოკეანე სხვადასხვა ხალხისა, დადგა საკითხიც ამ კულტურულ სხვადასხვაობისა. არ შეეხები, რატომ მოხდა ეს, ხოლო ფაქტი ასეთია: ევროპის ხალხი ცნობილ იქმნა მომწიფებულად, აზიის კი—არა. ამიტომ ევროპის ერებს მიენიჭათ სრული დამოუკიდებლობა, აზიისას კი—არა: იქ მათი თავისუფლება შეკვეცილია და შეზღუდული. ასეთია სირია, ირაკი, პალესტინა.

აფრიკის ზოგი ხალხი კიდევ უფრო დაბლა ჰდგას, წყნარი ოკეანის ზოგი კუნძულებისა—კიდევ უფრო დაბლა.

ლიყოო, ვინაიდგან მოსკოვის ხელისუფლება სდევნის ყოველსავე თავისუფლებას, მიტროპოლიტს უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ რუსეთში ადგილი არ ჰქონია რჯულის განსაკუთრებულ დევნასაო. თავის განცხადებით მიტ. სერგიმ შეიძლება უფრო დიდი სამსახური გაუწია ეკლესიას, ვიდრე პროტესტი რომ განეცხადებინა.— ასეთი განცხადება ალაგმავს (თითქოს არსებობდეს რამ, რასაც მათი ალაგმკა შეეძლოს!) მოსკოველ დიქტატორებსო.

ასე ამრთლებს ანონიმი ავტორი მიტრ. სერგის და თან დასძენს,—ადვილია იმათთვის, ვინც აქ უშიშროებაში იმყოფება მიტროპოლიტის გაკიცხვაო.

ყველაფერი ახირებულია ამ ავტორის აზროვნებაში. სინიდისის თავისუფლებას ისევე სდევნიან, როგორც ყველა სხვა თავისუფლებასაო, და ამიტომ თურმე შეიძლება ითქვას, რომ რჯულსა და ეკლესიას არ სდევნიან. ლოღიკაც ამას ქვიან. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ სინდისის თავისუფლებასაც ისე სდევნიან, როგორც ყველა სხვას, თვით ეს აზრიც არ არის მართალი. ამ უკანასკნელ დროს სწორედ ეკლესიის, რჯულის და მის მსახურთა წინააღმდეგ ისეთი განსაკუთრებული და სასტიკი დევნა სწარმოებს მთელს რუსეთში, როგორსაც აქამომდე ადგილი არ ჰქონია.

რა თქმა უნდა, ვინც ბოლშევიკურ ჯოჯოხეთს თავი დაახწია და აქ, სამშვიდობოში, იმყოფება, არ აქვს უფლება აქედგან ყიყინა დასცეს და უსაყვედუროს იქ დარჩენილთ, თავს რად არ გამოიდებთ და ძალმომრეობას წინააღმდეგობას არ გაუწევთო. სრული სიმართლეა. იქ ჩუმათ ყოფნაც უკვე დიდი გმირობაა, ოღონდ... ოღონდ იმდენათ, რამდენადაც ასეთი საყვედური მიმართულ იქნება საშუალო მოქალაქისადმი. ხოლო, როგორც ფრანგები ამბობენ, კეთილშობილება მოვალეობაა, და თუ კეთილშობილებაა მოვალეობა, მით უფრო

აქედან წარმოიშვა ერთა ლიგის პაქტის მუხლი 22 და მისი ცნობილი განყოფილება A, B, C, ე. ე. მანდატი სხვადასხვა შინაარსის, სხვადასხვა ხალხისათვის.

ეჭვი არ არის, იგივე პრობლემა დაჰდგება ევროპის წინაშე შესახებ რუსეთში მომწყვდეულ ერებისა. რუსეთი—მოზაიკაა, იქ ითვლება ასამდე სხვადასხვა ხალხი და ერი. ბევრია ერი პოლიტიკურად და ეკონომიურად სრულებით მომწიფებული და მომზადებული თავისუფლებისათვის, მაგრამ უფრო მეტია ისეთიც, რომელსაც ან სულ არ შეუძლია პოლიტიკური ცხოვრება. ან ჯერ კიდევ სჭირია ხანგრძლივი ხელმძღვანელობა და დახმარება. სინამდვილეში ეს გადაითარგმნება ამ ნაირად: ზოგს მიენიჭება დამოუკიდებლობა, უფრო მეტი კი დარჩება ისევ რუსეთის ფარგლებში.

ჩვენ რა გვინდა: თავისუფლება სრული თუ შეზღუდული? ჩვენ ვინა ვართ: ევროპიელები თუ აზიელები?

პუანკარემ ერთ თავის სიტყვაში განაცხადა: «მე კარგად არ ვიცი, სადა ჰდევს საქართველო: ევროპაში თუ აზიაშიო?» ეს შეიძლება სადავო იყოს გეოგრაფიულად, მაგრამ პოლიტიკურად ეჭვის გარეშეა, რომ საქართველო «ჰდევს ევროპაში». საბუთი? ამის უტყუარი საბუთია მისი კონსტიტუცია, რომელიც თავის ძირითადი პრინციპებით იგივეა, რაც ევროპის ყველა განათლებულ ქვეყნებში.

რუსეთის უკანასკნელ თავდასხმამ დაამხო თავისუფალი საქართველო და ძალად გადაისროლა იგი «აზიაში», მაგრამ ევროპამ კარგად იცის სიმძიმე ამ დანაშაულის და საქართველოს დღესაც უყურებს ისე, როგორც უყურებდა მაშინ; როცა მისი დამოუკიდებელი არსებობა იცნო de iure. ამისი საბუთია არა მარტო საზოგადოებრივი სიმპატია, არა მარტო ღვაწლი და უანგარო მუშაობა ჩვენი მეგობრებისა ევროპაში, არამედ ბევრი შესანიშნავი პოლიტიკური აქტი, რომლის საერთაშორისო მნიშვნელობა ეჭვის გარეშეა. აი ეს ფაქტები:

ა) მოსკოვის მთავრობამ ბევრი ეცადა მოხვეული გზით წაეშალა საქართველოს ცნობა de iure. დაიწყო ხვეწნა და დემარშები იმის შესახებ, რომ ცნობილი ყოფილიყო რუსეთის სამხრეთ საზღვრები კავკასიაში, მაგრამ ყველგან უარი უთხრეს, მიზანს ვერსად ვერ მიაღწია. ეს საზღვრები დღესაც არ არის საერთაშორისოდ ცნობილი, მაშასადამე არც ის, რომ საქართველო შედის რუსეთის იმპერიაში.

ბ) ლოზანის ხელშეკრულებაში საქართველო პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ აშკარად და უეჭველად ნაგულისხმევია, როგორც ზღვის-პირ მდებარე სახელმწიფო: მისთვის დატოვებულია ერთი ადგილი სრუტეების კომისიაში.

გ) ერთა ლიგაში ოფიციალურად ჰდგას საქართველოს საკითხი. ლიგამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება, დაჰდგება თუ არა ხელსაყრელი მომენტი, მიიღოს ყოველი ზომა დახმარება გაუწიოს ამ ქვეყანას «საერთაშორისო უფლების ფარგლებში». აქ დახმარებაზე ლაპარაკს სხვა აზრი არა აქვს, გარდა საქართველოს სუვერენობის აღდგენისა.

დ) ინგლისმა და საფრანგეთმა იცნეს ბოლშევიკური მთავრობა რუსეთში, მაგრამ ამ ცნობაშივე მოყვანილია რეზერვი, რომელიც ყველაზე უწინ საქართველოს შეეხება: როგორც რუსეთის საზღვარი არ არის ცნობილი კავკასიაში, ისე არც რუსეთის მთავრობის ძალა უფლება საქართველოს ტერიტორიაზე.

ე) საფრანგეთში ღიაა საქართველოს ლეგაცია ე. ი. კიდევ ისმის თავისუფალი საქართველოს ოფიციალური ხმა.

აი ფაქტები! ყველა ეს ფაქტები ცხადად ამტკიცებს, რომ ევროპას სრულებით არა აქვს განძრახვა მიიღოს და დააკანონოს ბოლშევიკების თავდასხმა და ამ ძალადობით რუსეთის იმპერიალიზმის მოკალათება საქართველოში.

სამწუხაროთ ამას ჩვენ ვაკანონებთ ჩვენი ქცევით და გაუგებრობით, და... დავაკანონებთ კიდევ თუ ამ შეუსაბამო ალთა-ბალთას და შეგნებულად არ დაეირაზმებით იმ დროშის ირგვლივ, რომელიც ჩაგვაბარა საქართველომ და-რომლის ძახელმწიფოებრივი შინაარსი ჩამოსხმულია მის კონსტიტუციაში. მხოლოდ ამ დარაზმვით ჩვენ შეგვიძლია ადვილად გადავლახოთ ის ისტორიული მოსახვევი, რომლის წინაშე ვდგევართ, და ადვილად გავიდეთ მსოფლიო ევოლიუციის ფართო და მშვიდობიან შარა-გზაზე.

ამიტომ ორს ზემოხსენებულ ფაქტორს, რომელსაც ემყარება ჩვენი იმედები, უნდა დაემატოს მესამე: ეროვნული დისციპლინა.

გიორგი გვაზავა.

ჩვენ მივიღეთ სპარსეთიდან შედეგი

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

სპარსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტთა საერთო კრებისა, გაზეთ «საქართველოს» მე-3 №-ში მოთავსებულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საზღვარგარეთელ კომიტეტის მოწოდების ირგლივ:

«წითელი სამოსელით შემოჭრილი, რუსეთის ბნელი, იმპერიალისტური, უხეში ძალებით საქართველოს დაპყრობისა და მისი სუვერენულ საყოველთაო არჩევნებზე დამყარებული ჭეშმარიტ ეროვნულ მთავრობის დროებით განდევნისა სრულდება უკვე ათი წელიწადი, რომლითაც ამაყობს ზოგიერთი ჩვენი ერის მოღალატენი და რუსეთის ტირანია. ბოლშევიკები ცდილობენ დაუმტკიცონ მთელ კაცობრიობას, რომ ისინი საქართველოში უხეში ძალებით არ შემოსულან, რომ საქართველოს დაპყრობა კი არა—განთავისუფლება მოხდა და ასეთივე განთავისუფლება იმ ხანებში წითელმა ბრბომ მოინდომა სპარსეთის და ოსმალეთის. წითელი არმია ისე, როგორც ნიკოლოზის იმპერიალისტური ჯარი შეიჭრა ამ ქვეყნების საზღვრებში, საიდნაც ისინი უცხო სახელმწიფოთა დახმარებით განდევნილ იქნენ, არაქსისა და ჭოროხის ნაპირების გადაღმა. ისტორია გვასწავლის ინტერესთა ჭიდილს და ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესი დაპყრობას. წითელ იმპერიალისტებმა მოახდინეს საქართველოში ის, რასაც ისტორია გვასწავლის. ისე, როგორც კრიმინალისტური დამნაშავე ცდილობს დაჰფაროს კვალი ბნელი საშვალებათა და სისხლიანი ხელები მოაჩვენოს სპეტაკათ, ასევე ბოლშევიკები ცდილობენ მიჩქმალონ თავიანთი ბნელი საქმეები და მთელი ძალ-ღონით მოწადინებული არიან «ვითომდა» ქვეყნის აღორძინებაში, მაგრამ ამაოდ, ანტაგონიზმი ხალხსა და ტირანიის შორის დღითი დღე იზრდება, ამის დასამტკიცებლათ ბევრს გვეუბნება ამ ათი წლის ისტორია, 24 წლის საყოველთაო აჯანყება, მისი დამარცხება და ათეული ათასი საუკეთესო მამულიშვილების დახვრეტა, აჯანყებამდე და მის შემდეგაც მასიური პოლიტიკური გამოსვლები აქტიურ-აგრესიულ ფორმებში გამოხატული, პროტესტები მუშების, გლეხების, ინტელიგენციის და მოზარდ თაობის, რისი შედეგიც არის სისტემატიური გადასახლება ქართველებისა შორეულ ციმბირში და ლტოლვა უცხოეთში ფიზიკურად განადგურების თავიდან ასაცილებლად. რეპრესიები ბოლშევიკების სასარგებ-

---

ყრელი იყო ერის თავისუფლებასთან,—ერს, რომელსაც წაართვეს დამოუკიდებლობა, არც რჯულს შეარჩენდენ და არც ეკლესიას.

ამიტომაც არ შეუშინდა ეს დიდებული მამულიშვილი და ქრისტეს მცნებათა ღირსეული მოციქული არცა წამებას და არცა სიკვდილს, გაბედულად დაგმო თავის ერის მტერთა უდიერობა და ქვეყანას ამცნო თავის ქვეყნის წამება და წვალება.

და, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა ძალმომრეობამ ერის ამ გაბედულ გამოსარჩლებისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რა სადა და ამასთან მშვენიერისა და ღრმა გრძნობით აღსავსე სიცყვებით უპასუხა ამ უმსგავს განაჩენს:

«სული ჩემი უფალს ეკუთვნის, გული—ერს, სხეულს კი რაც გნებავთ, ის უყავით»!

ორი მღვდელმთავარი!

ზეცისა და მიწისადმი, სინდისისა და ჭეშმარიტებისადმი მოვალეობის ორი შეგნება!

რა განსხვავებაა!

ამიტომაც იყო, რომ როდესაც კათალიკოზი ციხეში გარდაიცვალა,—რადგან გაბოროტებულმა ხელისუფლებამაც კი ვერ გაბედა თავის მხეცურ განაჩენის სისრულეში მოყვანა, ხოლო ციხეში ჩააგდო და ნელის წამებით ამოხადა სული მოხუც მღვდელმთავარს, ულრმესს მწუხარების გრძნობამ მოიცვა მთელი ქართველი ერი და ერთსულ ჰყო.

კათალიკოზ ამბროსის მოქმედებათ არ დასჭივრებია განმარტებანი.—

ი. ნურაბიშვილი.

დიდი მოვალეობის დამდებია ისეთ მაღალ ადგილზე არჩევა, როგორც მიტროპოლიტის ტახტია.

მიტროპოლიტებსა და კათალიკოზებს მხოლოდ იმისთვის ხომ არ ირჩევენ, რომ დიდ უქმე დღეებს მდიდრულად შემოსილებმა სწირონ და სადიდებლები წარმოსთქვან. თუ არ ასეთ შავს დღეს, მაშ როდისღა უნდა ემსახურონ თავის მრევლს, რომელიც ამ შემთხვევაში მთელი ერია? თუ არ გაჭივრებაში, მაშ როდისღა უნდა გამოესარჩლოს სულიერი მამა მთელის ერისა ამ უკანასკნელს, და, თუ საჭიროა, თავიც შესწიროს?

მოჰკლავენ? აწამებნ? და ხომ სწორედ ეს არის მისი მოვალეობა და დანიშნულება, ასეთს ვალსა სდებს მისი სახელი ეკლესიის მმართველისა; ასეთის მსხვერპლით შეუძლია მხოლოდ ერს სული გაუმაგროს, მისი ნებისყოფა განამტკიცოს. თორემ აქაოდა, რჯული და სინიდისი განსაკუთრებულ დევნას არ განიცდიანო, მღვდელმთავარი იმ საშინელ ფაქტების წინაშე, რომელსაც რუსეთში ადგილი აქვს, გაჩუმებული იყოს,—გაჩუმებული რას ქვიან,—აცხადებდეს, რომ ასეთ დევნას ადგილი არ აქვსო, ეს ხომ ისეთი საცოდავი სოფიზმია, რომელსაც ბალღიც კი მიხვდება.

არა, მიტროპოლიტ სერგიმ ვერ გამოიჩინა სულის ის სიმაღლე და სიმტკიცე, რომელიც ჰმართებდა ეკლესიის უმაღლესს საფეხურზე მყოფ მღვდელმთავარს და რომლის შესანიშნავი მაგალითი მისცა მთელ ქვეყნიერებას მეორე მღვდელმთავარმა, საქართველოს კათალიკოზმა ამბროსიმ.

სად იყო ეკლესიის დღევანდელისებური დევნა, როდესაც ამ დიდებულმა ღვთისმსახურმა ხმა აიმაღლა და მედგრათ წინააღუდგა თავის ქვეყნის, თავის ერის მტარვალთ.

მიტრ. სერგიმ თავისი საუფლისწულოც არ დაიცვა, დევნილთ მაგიერ მდევნელთ გამოესარჩლა.

კათალიკოზ ამბროზისათვის თავისუფალი ეკლესია განუ-

ლოთ დადებით შედეგს არ იძლევა და დღეს გასაბჭოების მეათე წელზე ქართველობაში ეროვნული გრძნობა, დამოუკიდებლობა, რუსეთისაგან ჩამოშორება და ერთი მთლიანი აზრი უფრო მეტია, ვიდრე ეს ყოფილა ოდესმე. ისა, როგორც ურყევი ბუნების კანონების შეცვლა შეუძლებელი და წარმოუდგენელია ადამიანის ძალებით, ისევე შეუძლებელია რეპრესიებმა აღმოფხრას ქართველ ერში ჭეშმარიტი ეროვნული იდეაც. და იმ დროს, როდესაც პოლიტიკური კონიუქტურის სიტუაციები ამბობენ იმას, რომ სულ ახლო მომავალში მოხდება სრული იზოლიაცია ბოლშევიკური რუსეთის, რის თავდებია ერთის მხრივ დიდ სახელმწიფოთა შეთანხმება, ერთა ლიგის უნივერსალობა და მეორეს მხრივ მესამე ინტერნაციონალის სრული გაკოტრება, კრიზისები კომუნისტურ პარტიაში, სხვადასხვა ჯგუფის გადახრები და პარტიაში გულგრილობა თავის შედეგებით. ხუთწლიანი გეგმის ჩაფლავება, გენერალური ხაზის უტოპია, რადგანც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუკცია, ეგრეთწოდებულ «სოციალისტურ შეჯიბრებებით» და პოლიტბიუროს «ინსტრუქციებით» არავითარ ნაყოფს არ იძლევა, პირიქით, ზიანის მომტანია და ეკონომიკის რეგრესით მთავრდება.

ასეთ გადამწყვეტ პირობებში ყველაზე უფრო ქართველების მთლიანობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და მით უმეტეს საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა შორის. ეროვნული ცენტრი, რომლის ირგლივ თავს იყრის მთელი ქართველი ემიგრაცია, ქართველობაში უნდა იქნეს უნივერსალი და საყოველთაო არჩევნებზე დამყარებული სუვერენული მთავრობის—საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ გადადგმული ყოველგვარი ნაბიჯები უნდა დარჩეს სავალდებულოდ ყოველი პოლიტიკური პარტიებისათვის და ყოველი ქართველი ემიგრანტისათვისაც, მანამ, სანამ საქართველოს ოკუპაციას ბოლო მოეღებოდეს, ყოველგვარი ფრაქციული გამოსვლები, რომელიც მიზნათ ისახავს, შესცვალოს კანონიერი მთავრობა—მოხალისეებათ, ჩაითვალოს უპასუხისმგებლო გამოსვლებათ.

ჩვენ მოვითხოვთ ეროვნულ ცენტრისა და მთავრობის რკინის დისციპლინას, ყოველგვარი განხეთქილება, თუნდაც ამას პრინციპიალური გამართლება ჰქონდეს, ლაპარაკობს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის მტრების სასარგებლოდ».

ვიქტორ ჯღარკავა.
ნინო ცალქალამიძისა.
ვ. ვიფრგაძე.
იპოლიტე ბესელია.
სამუელ ფიჩხაძე.
მიხ. ნიკოლაიშვილი.
მეს. ციციშვილი.
ვლად. კომსაძე.
ა. სხირტლაძე.
იოსებ ცალქალამიძე.

თავრიზი (სპარსეთი).

ერი და სახელმწიფო

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ გადაატრიალა ძირითადი შეხედულება სახელმწიფოზე: უარი ჰყო «მეფის ღვთაებრივი უფლება» და მის მაგიერ პოლიტიკურ ცხოვრების ქვაკუთხედად გამოაცხადა «ღვთაებრივი უფლება ერის». ეს იყო რევოლიუცია იდეალოგიაში. სახელმწიფოებრივ სუვერენობის კონცეპცია დადგა ყირამალა: ის გადატანილ იქნა მეფის ნებისყოფიდან ეროვნულ ნებისყოფის სფეროში. თუ აქამდე მეფე ამბობდა: «სახელმწიფო მე ვარ!», ეხლა მხოლოდ ერს შეეძლო ეთქვა: «სახელმწიფო მე ვარო». აქედან დასკვნაც იყო ლოგიკური და უნივერსალური: როგორც ადამიანი თავისუფალია და ხელშეუხებელი სახელმწიფოში, ისე ერი უნდა იყოს თავისუფალი და ხელშეუხებელი საერთაშორისო ცხოვრებაში.

აქ იყო ერთი გაუგებრობა, რომელმაც მალე იჩინა თავი. საქმე იმაშია, რომ ფრანგულ ენაში ერი და სახელმწიფო თითქმის სინონიმია; ამ ორი შემეცნების შორის არ იყო წინააღმდეგობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოჰხდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. საფრანგეთის სახელმწიფო მაშინ ჩამოყალიბებული იყო ისე, რომ სახელმწიფოს საზღვრები და საზღვრები ეროვნულ მოსახლეობისა არ იყო სხვადასხვა; იყო თითქმის ერთი და იგივე. ამიტომ რევოლიუციის თეორეტიკოსები და ხელმძღვანელები ვერც კი ამჩნევდენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც ჩართული იყო მათ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში. ეს წინააღმდეგობა აშკარა იყო დანარჩენ ქვეყნებში. მართლა, რა იყო გერმანია, ავსტრია, რუსეთი, ოსმალეთი და ბევრი სხვა სახელმწიფო, თუ არა აშკარა საბუთი იმისი, რომ სახელმწიფო არ არის ერი და ერი არ არის სახელმწიფო. აშკარა იყო რომ არის ერი—ბატონი და ერი—მონა. ხშირად მხოლოდ ერთ ერს უჭირავს მთელი სახელმწიფო აპპარატი, და ამ აპპარატით ჰჩაგრავს და ტყავს აძრობს ბევრს სხვა დამონებულ ერებს; დამონებული ერები კი ქედმოხრილნი ეხიდებიან ჯაფა-ჭაპანს ამ გაბატონებულ ერის სასარგებლოდ. თუ გადავარდა ბატონ-ყმობა პიროვნული, როგორ შეიძლება დარჩეს ხელ-უხებელი ბატონყმობა ეროვნული?

ამ ნაირად გაიხეთქა შუა პირვანდელი მთლიანი შემეცნება სახელმწიფოზე და წამოიჭრა უდიდესი საკითხი იმაზე, თუ რა არის თავისუფალი და ხელშეუხებელი—ერი თუ სახელმწიფო?!

* * *

ეს პრობლემა შეიჭრა სხვადასხვა ერის წიაღში. გამოძახილიც იყო სხვადასხვა. ყველას ჩვენ ვერ გავყვებით, არ გვაქვს იმოდენი დრო, შეიძლება ცოდნაც.

გერმანიაში ამ საკითხს გამოეხმაურა თავდაპირველად ჰეგელის ფილოსოფია. მან განსაკუთრებული ადგილი დაუთმო სახელმწიფოს, რომელიც, მისი აზრით, არის უდიდესი და უაღრესი ფორმა «თვით-მონვითარე იდეისა». ეს «იდეა» საფუძვლად უდევს მის ფილოსოფიურ სისტემას; მისი თანდათანური გაშლა და განვითარება ერთადერთი მიზანია მსოფლიო ევოლიუციისა. სახელმწიფო არის უდიდესი გაშლა ამ «იდეის»; მისი გამართლება—მის გამარჯვებაშია, მას უნდა შეეწიროს ერიც და ბერიც, თუ ამას მისი ინტერესი მოითხოვს... ამ ფილოსოფიით, თემურ-ლენგის იმპერიას ისეთივე გამართლება აქვს, როგორც ათენის რესპუბლიკას, შეიძლება მეტიც. ამ ნაირად გამართლებული გამოდის ყოველი ტირანია და ყოველი იმპერიალიზმი.

ამით მე არ მინდა ვთქვა, რომ გერმანიაში არ იყო სხვა უფრო ჰუმანიტარული მიმართულება. საკმარისია სახელიც ემმანუელ კანტისა, რომ სულ სხვა დასკვნა გამოვიყვანოთ. მაინც ეჭვი არ არის იმაში, რომ ჰეგელის ფილოსოფიამ შექმნა დიდი გონებრივი მოძრაობა, დიდი გავლენა იქონია პოლიტიკაზე და დიდი კვალიც დააჩნია საერთაშორისო განწყობილებაზე. იმას აქვს ახლო კავშირი მარქსის დოქტრინასთან, იმან მეტი ძალით იფეთქა ნიცშეს ფილოსოფიაში, იმისგან წარმოიშვა იდეოლოგია «ჯავშნიანი მუშტისა»... იდეა ეროვნული თავისუფლების და საერთაშორისო სამართლისა მიჩქმალულ იქმნა: აქ არ ჰქონია მას დიდი გასაქანი.

გამოდის: ხელშეუხებელია სახელმწიფო და არა ერი.

* * *

იდეიური ტალღა მიდიოდა წინ, აღმოსავლეთისაკენ, გზაზე იდვა დაფლეთილი ტანი პოლონეთისა. საინტერესოა: როგორი იყო გამოხმაურება ამ მხარეში.

ეს გამოხმაურება ჩვენ გვესმის ადამ მიცკევიჩის პოეზიაში. დაფლეთილი ტანი პოლონეთისა არ ყოფილა თურმე ისე დაფლეთილი: ის იხატება, როგორც ერთი ცოცხალი არსება, რომელიც ჰცხოვრობს, ჰფიქრობს და ჰგრძნობს. იმას აქვს თავის სევდა და იმედები, თავის მისწრაფება და შეგნებული ნებისყოფა. არავინ იცის, როგორ დაიბადა ის, მაგრამ თვით საიდუმლოება ამ გაჩენისა—წმიდაა და ღვთაებრივი. თუ რასმე უნდა მოვლა და დაცვა, სწორედ ამას, ამ დიდს, საიდუმლო და ღვთაებრივ არსებას, რომელსაც ჰქვიან ერი. სახელმწიფო სწორედ იარაღია ამ თავდაცვისა, მხოლოდ გარეგანი არმატურა ეროვნული სხეულისა. აქედან დასკვნაც ცხადია: ~~ხელშეუხებელია ერი და არა მისი არმატურა—სახელმწიფო.~~

ამ ნაირად სახელმწიფო გამოდის ერთნაირი ჯავშანი, რომლის აზრი, მიზანი და გამართლება არის მხოლოდ ეროვნული სხეულის დაცვა. თუ ეს ჯავშანი არ სცილდება ეროვნულ სხეულს, მაშინ სახელმწიფოც ხელშეუხებელია, ვინაიდან მაშინ სახელმწიფო არის ერი და ერი არის სახელმწიფო.

* * *

საინტერესოა შემდეგი ეტაპი იმავე იდეის განვითარებისა: რა მოჰხდა რუსეთში?

იმავე მიცკევიჩს აქვს ერთი საინტერესო ფრაზა. მან პირველად რომ რუსეთი ჰნახა, მაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქვეყანამ: იგი თოვლით იყო მოფენილი და მიცკევიჩს მოეჩვენა, როგორც ისტორიის სუფთა და სპეტაკი ფურცელი. «ნეტა რას დასწერს ისტორია ამ ქაღალდზეო?» ამბობს პოეტი ერთ თავის წერილში.

გავიდა დრო და ისტორიამ უკვე დასწერა ამ ქაღალდზე კაბალისტური სიტყვა: «ბოლშევიზმი».

ისტორიით დაყენებულ კითხვაზე, თუ რა არის წმიდა და ხელშეუხებელი: ერი თუ სახელმწიფო?—ლენინი იძლევა გადაწყვეტილ პასუხს: არც ერთი და არც მეორეო!

მისი აზრით, ორივე შემეცნება უნდა იქმნას აღმოფხვრილი კაცის გონებიდან, ორივე ბურჟუაზიის მონაგონია, ორივე მხოლოდ იაოადია მისი ბატონობის და ხალხის ყვლეფისა. ამ გადარეულ მოძღვრებამ იპოვა მომზადებული ნიადაგი რუსის ხალხში და ლენინიც შეუდგა თავის მოძღვრების განხორციელებას: თავს დაესხა უკრაინას, ჩრდილო კავკასიას, აზერბეიჯანს, სომხეთს, საქართველოს და გაანადგურა ყველგან ერიც და სახელმწიფოც. მაგრამ თვითონ კი შეჰქმნა... საბჭოთა კავშირი, უშველებელი საბყრობილე, სადაც მოქცეულია მრავალი სხვადასხვა ერი. ეს არის ახალი სიტყვა, რაც მოუტანა რუსეთმა კაცობრიობას: მთელი კაცობრიობა უნდა შემოვიდეს ამ საბყრობილეში. მაშინ რა საკვირველია არ იქნება არც ერი და არც სახელმწიფო.

* * *

საბედნიეროდ კაცობრიობა არ მიდის ამ გზით და არავითარი სურვილი არა აქვს შეჭყოს თავი რუსეთის საბყრობილეში. ეროვნული მოძრაობა ისეთი ფაქტია, რომ მის მსვლელობას ვერ შეაფერხებს ვერავითარი თეორია. მას ანგარიშს უწევს განათლებული კაცობრიობა, ვინაიდან ეხლა ყველა ნათლად ჰხედავს, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობის დამყარება იქ, სადაც უარყოფილია თავისუფლება და სამართალი. სწორედ ეს იდეა უდევს საფუძვლად ერთა ლიგას. დაარსდა ბევრი ეროვნული სახელმწიფო და იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფოს დაარსება შეუძლებელია სხვადასხვა პირობების გამო, იქ ეროვნულ უმცირესობას ეძლევა სხვადასხვა შეღავათი და დახმარება.

საქართველოც ამ გზას დაადგა. ის გამოეყო რუსეთს და გადააბა თავისი ბედი განათლებულ კაცობრიობის გონებრივს და პოლიტიკურ მოძრაობას. მისი ეროვნული სხეული [illegible] ნაკლებად შედის მის სახელმწიფოებრივ საზღვრებში და სახელმწიფოებრივი საზღვრები არა ჰცდება მის ეროვნულ სხეულს. აქ ხელშეუხებელია ერიც და სახელმწიფოც, ვინაიდან ერი არის სახელმწიფო და სახელმწიფო არის ერი.

განი.

„გადაგვარების გზაზე"

ამას წინად ერთერთს აქაურ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა ყოვლად შეუწყნარებელი, სულისა და გულის ამრევი წერილი სათაურით «გადაგვარების გზაზე».

პრიმიტიულ აზროვნებისა და უფრო პრიმიტიულ ზნეობრივ წარმოდგენათა პატრონს, ამ წერილის დამწერს ქართველ ერის მთლიანობისა და მისის ენის დამცველად მოაქვს თითქო თავი, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ ასეთის დამცველისაგან.

ქართველი ერი გადაგვარების გზას ადგას, და ამის მიზეზი რუსულის ენის ხმარებაა და რუსის ქალის ქართველ ოჯახში შემოჭრაო, და ამიტომ... ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ყველა იმ ლანძღვისა და უშვერობის განმეორება, რომელსაც მოუკავებია გაზეთის სამი სვეტი. საკვირველია მხოლოდ, რომ ადამიანი, რომელიც ასეთს სიუხვეს იჩენს სხვის ლანძღვა-გინებაში, სხვაზე ამბობდეს, მისი ლოცვა გინებაა?

წარმოსადგენია ამაზე მეტი გადაგვარება განთქმულ ქართულ ზრდილობიანობისა?

რუსებს არც ლიტერატურა უვარგათ, არც მუსიკა, არც მხატვრობა, კულტურის ნასახიც არ სცხებიათ.

ჩვენ სრულებით არა გვსურს რუსულ ხელოვნებისა და კულტურის დამცველად გამოვიდეთ. გვიკვირს და გვაოცებს მხოლოდ, რაში დასჭირდა ამის დამწერს თავის უმეცრების ასე თავაღებით გამომხეურება და თავის თავის თავისავე ხელით გამათრახება? და ერთიც კიდე,—სწამს თუ არა ამის მთქმელს თავისივე ქართველი პოეტები, მათი მადლი და ზეგარდმო ნიჭი? თუ სწამს, როგორ უდგება იმ მოვლენას, რომ თითქმის ყველანი,—ნ. ბარათაშვილი, ორბელიანები და ალ. ჭავჭავაძე, ილია და აკაკი, რაფ. და გიორგი ერისთავნი, გრ. აბაშიძე და მრავალნი სხვანი თავისის ყურადღების, მოწონების და ნიჭის და ამიტომ ხან თარგმნისა და ხან მიბაძვის საკადრისად და ღირსად სთვლიდენ ავტორის მიერ ტალახში ნაოვრეგ პოეზიას?

რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში არ ახალია, ძველი ამბავია.

ძველადაც იკიცხებოდა ჩვენებურ პრესაში რუსეთუმობა, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსდიოდა სალანძღავ სიტყვების ხმარება, ან სხვისის დოვლათის უგუნური ძაგება. ან კი როგორ იკადრებდა ქართველი საზოგადოება ან რომელიმე ქართველი მწერალი სხვისის ენის ძაგება-გინებას, თუ თავისის ცუდათ ხსენება გულზე ლახვრად ესობოდა. არ მოიპოვება ქართველი, რომელსაც არ გაეგონოს და არ ახსოვდეს, რა საშინელი აღშფოთება და წყრომა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში იმ ამბავმა, რომ ექსარხოსმა პავლემ სწორედ ის ყოვლად უხეირო და შეუწყნარებელი შედარება იკადრა ქართულ ენის მიმართ ამბიონიდგან, რომელსაც ავტორი რუსულის მიმართ ხმარობს გაზეთში.

ამბიონი და გაზეთი! ორი სამქადაგებლო ადგილი! ორივე კეთილის და მაღალის საქადაგებლათ შემქნილი!

ბოროტად გამოყენებული ორივე!

არ მოწონება სხვის ენის, სხვისის ხელოვნების, სხვისის კულტურის სრული უფლებაა ყველასი, კაცია და გუნება. ოღონდ წესიერ საზოგადოებაში აზრების გამოთქმის საშუალებანიც წესიერი უნდა. უწესოდ მოქცევის უფლება კი არავის არ აქვს. უწესო ქცევა, უწესო სიტყვა საზოგადების შეურაცყოფაა. ჩვენს პირობებში კი ასეთი უწესო გამოსვლა ორკეცად შეუწყნარებელია და დასაგმობი.

ზემოდ ვსთქვით, რომ რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში ძველი ამბავია. უწინ ძალაუნებურად რუსეთუმობას ვებრძოდით, სხვა ღონე არ იყო. დრომ და გარემოებამ შეძლება მოგვცა გადაგვარების უფრო ღრმა და ნამდვილ მიზეზს შევებრძოლებოდით,—რუსეთის პოლიტიკურ ბატონობას. ნამდვილ მიზეზსა—თქო, რადგან დამოუკიდებელ საქართველოში, რასაკვირველია, ვერც რუსული ენა და ვერც რუსის ქალის ოჯახში შემოსვლა ვერას დააკლებენ ერს.

და ქართველი ერის მთელი ყურადღება, მთელი არსება აქეთ არის მიქცეულ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ.

საანბანო ჭეშმარიტებადაა მიმჩნეული ის აზრი, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ ჩვენისთანა პატარა ერისათვის ისეთივე საჭიროებას წარმოადგეს განათლებულ ერთა კეთილი განწყობილება და მისი დახმარება, როგორც შინაური სიმხნევე და გამსჯელობა. საქართველოს რუსეთისაგან დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზეა გამოტანილი. განათლებულმა ერებმა და მათის გაერთიანების გამოსახულებამ, ერთა ლიგამ, უნდა გამოგვესარჩლონ, ჩვენთვის თავი უნდა გამოიდვან და დაგვეხმაროს ამ საკითხში.

ამ ყურადღებასა და დახმარებას დამსახურება უნდა. და-

მსახურება კიდე მაშინ შეიძლება, როდესაც დავანახვებთ ქვეყნიერობას, რომ ქართველი ერი არა მხოლოდ უფლებრივად არამედ ზნეობრივადაც, ვითარცა ძველის და დიდის, დღემდი შენახულის კულტურის ერი, ერი კეთილშობილი, სანაქებო ზრდილობისა, მაღალსულოვანი, საკუთარ ღირსების მაღლად მჭერი და სხვისის პატივის მცემელი.

ასე ესმის თავისი მოვალეობა ყოველ ქართველს თავის ერის წინაშე და ამ მოვალეობის ასრულებას ემსახურება ჩვენში დიდი და პატარა მთელის ძალ-ღონით.

გამოდის ამ დროს ვიღაც ენასნეული და ლანძღვა-გინებით სვრის ქართველის სახელს, ქართველის სულის ყველა მაღალ თვისებას ლაფში ათრევს, ვინაიდგან მლანძღველი უპირველესად თავის თავს ლანძღავს და ამდაბლებს.

რა უნდა გვითხრას ასეთის თვალმარგალიტებით მოკაზმულ სიტყვების წამკითხველმა უცხოელმა?

—ეს არის თქვენი ნაქები ქართველური ზრდილობა, თქვენი განთქმული რაინდობა?

რასაკვირველია, პასუხი მზადა გვაქვს, პასუხი სამართლიანი:

— თითო-ოროლა მახინჯი რომელ ერს არ გამორევია?

პასუხს კი გავცემთ, დაგვიჯერებენ კიდეც, ოღონდ ცუდი შთაბეჭდილება ცუდ შთაბეჭდილებათ რჩება, და უბედურებაც ის არის, რომ ნაგრძნობი ძლიერ ხშირად ნააზრზე უფრო სჭრის.

ამიტომ არ შევცდებით, ვგონებთ, თუ ვიტყვით, რომ მთელ საზოგადოების აზრსა და წყრომას გამოვსთქვამთ, თუ შევძახებთ აოა მკითხე ქართველი ერის მოსარჩლეთ:

თუ ქართველის ბუნების და ქართულის სიტყვის ამაზე მეტი პატივისცემა არა გაქვთ, ერთისაგანაც და მეორესაგანაც შორს!

ხმა სპარსეთიდან

უხეშმა ძალამ, ბოლშევიკების ტირანობამ, გახრწნამ, რომელიც შედეგია აუტანელ პოლიტიკურ-ეკონომიურ და მორალურ პირობებისა, გვაიძულა არალეგალურად გადმოვსულიყავით მდინარე არაქსი და დროებით თავი შეგვეფარებია სპარსეთის მიწა-წაყლზე.

დღეს საქართველო საპყრობილეა, ოკუპანტების საქმიანობა აზროვნების ყოველ დარგში შეიჭრა, მათი მიზანი მიმართულია ერის გადაგვარებისაკენ, რეპრესიები დღითი-დღე იზრდება სხვადასხვა ფორმებში, მთავრობის პათალოგიური ღონისძიებანი იწვევს სამშობლოდგან მასიურ ლტოლვას, განაპირა საზღვრები ისეა შეკრული რუსის ჯარებით და ჯაშუშებით, რომ ძნელად თუ ვინმე შესძლებს საზღვარის გადასვლას. რადგან ჩვენი გადასვლა ოსმალეთით შეუძლებელი იყო გადავედით სპარსეთის საზღვარზე, თუმცა აქაც დიდ რისკს ჰქონდა ადგილი.

ჩვენ ვფიქრობდით აქაც იქნებოდა ემიგრანტთა კომიტეტი, რომელიც თუ მატერიალურად არა ზნეობრივად მაინც მოველოდით დახმარებას, მაგრამ, საუბედუროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა, აქ მყოფთ არავითარი კავშირი ცენტრთან არ ჰქონიათ.

* * *

როგორც აქაური ემიგრანტები გადმოგცემენ, წინათ, 5-6 თვით ადრე, გადმოხვეწილთ, სპარსეთის მთავრობა ლმობიერად ეპყრობოდა, დახმარებასაც უწევდა; საზღვრის გადმოლახვისთანავე გადმოხვეწილი თავისუფალი ხდებოდა და თავის სურვილისამებრ შეეძლო ეცხოვრა სპარსეთის ტერიტორიაზე. სპარსეთის მთავრობის ლმობიერება თანდათან ქრება და მის ადგილას ძლიერდება რეპრესიები. დღემდის საზღვრის გადმოსვლა ისჯებოდა 8 დღიდან სამ თვემდე ან კიდევ 6 სპარსული თუმნიდან 50 თუმნამდე. უკანასკნელ ხანებში კი სპარსეთი დიდ დათმობამდე მიდის რუსეთის მიმართ, და ხშირად ლტოლვილებს უკან აბრუნებს. ამ ერთი თვის წინად გადმოსულები სპარსეთის ხელისუფლებამ უკან დაუბრუნა რუსეთს, რომლებიც იქვე საზღვარზე დახვრეტილ იქნენ.

ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ თეირანში 2-3 კვირის განმავლობაში დაიდება ხელშეკრულობა, რომლის ძალით სპარსეთის მთავრობა კისრულობს ემიგრანტი უკან დაუბრუნოს რუსეთს. ასეთს მოვლენას შესაძლებელია ექნეს ადგილი რადგან რუსეთი, ისე, როგორც ძველად, ახლაც დიდ გავლენას ახდენს ამ ჩამორჩენილ ერზე. განსაკუთრებით ასეთ გავლენის განხორციელებას ვხდებით სპარსეთის ადერბეიჯანში, რომელიც უშვალოდ ესაზღვრება რუსეთს. სპარსეთის დახურული ბაზარი სავსეა რუსეთის ნაწარმოებით, რომლის ფასი გაცილებით ნაკლებია რუსეთის ბაზრის ფასზე. ასე მაგ. მაშინ როდესაც შაქარი რუსეთში ღირს 1 20 კაპ. აქ ფასობს გირვანქა 12 კაპეიკი.

* * *

ჩვენ განზრახული გვქონდა დავრჩენილიყავით სპარსეთში ერთი წელი მაინც, კარგად შეგვესწავლა ჩვენი თანამოძმენი—ფერეიდანელები და გაგვეწია მათთვის ყოველგვარი დახმარება. მიუხედავად ჩვენი ასეთი დიდი სურვილებისა, ჩვენ ქ. თავრიზიდან ვერ გავემგზავრებით, რადგანაც სპარსეთის მთავრობამ შემოიღო «ჯავაზი» (ნებართვა) უროძლისოთ ემიგრანტებს არ შეუძლია სადმე წასვლა.

ფერეიდანელები რიცხვით დაახლოვებით 12-13 ათასს უდრის. ისინი კულტურულად უფრო დაბლა მდგარან, ვინემ სპარსელები, მიუხედავად მუსულმანური სარწმუნოებისა, მათ დღემდე შენარჩუნებული ჰქონიათ ქრისტიანული დღესასწაულები, როგორიც არის ამაღლება. ეს დღესასწაული თურმე განთქმულია თავის დიდი ჯარიანობით. ფერეიდანელების სოფლებს (12 სოფ.) ქართული სოფლების სახელწოდება აქვთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებს ქართულ სახელწოდებასთან პარალელურად სპარსული სახელწოდება ჰქონია. შახპაბაზის მიერ გადმოსახლებულები საქართველოს ამა თუ იმ სოფლიდან, როცა მანდ დასახლებულია იმ მიწა-წყლისათვის თავიანთ სოფლის სახელები დაურქმევიათ. ასე მაგ. მარტყოფი, ტაბახმელა, ლილო და სხვა. სხვათა შორის სოფელ ახობალაში სცხოვრობს ერთად-ერთი აქაურ პირობებში განათლებული ჩვენი თანამოძმე სეიფულა ხანი იოსელიანი, რომელიც 1919 წელს გვესტუმრა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ფერეიდანელები დიდი სასოებით ეკიდებიან, ვინც კი მივა მათთან საქართველოს სახელით; ამ ნიადაგზე მათ ხშირად ატყუებენ სომხები, რომლებიც თურმე ქართველად ასაღებენ თავს და ჩარჩობით მთელ წლის მოსავალს იაფად იგდებენ ხელში.

* * *

როგორც მოგახსენეთ სპარსეთის აზერბაიჯანში ქართველ ემიგრანტთა კომიტეტი არ არსებობს, რაც ნაწილობრივ აიხსნება ამ ქვეყნისა და საქართველოს შორის არა უშვალო საზღვრის არსებობით, მაგრამ მაინც წარმოადგენს დიდ ნაკლს. რაც შეეხება სომხებს აქ ქ. თავრიზში მათ აქვთ მაგარი დაშნაკური ორგანიზაცია, რომლის სათავეში სდგას ქ. თავრიზის ეპისკოპოსი და რომლის მეოხებით ემიგრანტ. სომხების გასამართლება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. სრულიად საკმარისია ოფიციალური ქაღალდის მიღება ეპისკოპოსიდან, რომ ვითომც გადმოხვეწილ სომხის შშობლები ან კიდევ ბაბუა იყო ძველად სპარსეთის ქვეშევრდომი, ამით მას საშვალება ეძლევა მიიღოს სპარსეთის ქვეშევრდომობა, რაც მთავარია სპარსეთის პირობებში, ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე არამც თუ სადმე მოწყობა შეიძლება, არამედ როგორც ზემოთ მოგახსენეთ ერთი ქალაქიდან მეორეში გამგზავრება შეუძლებელია. სპარსეთის ხელისუფლება ჩვენთან—ქართველ ემიგრანტებთან უფრო სიმპატიურად არიან განწყობილი, ვიდრე სომხებთან, რომელთა რიცხვიანობა 10 ათას აღემატება.

X.

საქართველოში

საქართველოში დიდი გაჭირვებაა. გვატყობინებენ, რომ ჩვენი გლეხობა დიდწინააღმდეგობას უწევს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. საქართველო კერძო საკუთრების ქვეყანაა, თემური მეურნეობა მან არ იცის, და გასაკვირიც არ არი, თუ ქართველი მუშა ამ რუსეთიდან გადმოღებულ «კულტურას» უყურებს, როგორც ტაციობას და ძალად ქონების ჩამორთმევას. ამიტომ მას ურჩევნია უმალ ცეცხლი წაუკიდოს თავის ქონებას, ვიდრე ნებით დაუთმოს იგი ამ კოლექტივებს. ამ ნიადაგზე ხდება ბევრი შეტაკება, მკვლელობა. ბევრი ტეროორისტული აქტი, ამას ბალშევიკური გაზეთებიც ვერ ჰმალავს, მხოლოდ მებრძოლ გლეხობას «კულაკს» ეძახის და ამით უნდა გაამართლოს უხეში და უგუნური შურისძიება: აწიოკება, დახვრეტა ან ციმბირში გადასახლება სოფლელებისა. აი ზოგიერთი ცნობა მათივე გაზეთებიდან ამოკრებილი:

— ს. კულაშში (ქუთ. მაზრა) ივ. ხარებავა ღამით თავს დაესხა კოლექტივის წევრებს, რომლებიც ყარაულობდენ მის ჩამორთმეულ სახლს, და დაუშინა მათ ქვები, კეტები, უნდოდა კარების შემტვრევა და კოლეკტივის წევრების დახოცვა.

— ტობანიერში (ქუთ. მაზ.) ცეცხლი წაუკიდეს კოუნისტ ნაფეტვარიძის სახლს.

—ს. ნახშირღელეში (ქუთაისის მაზ.) «კულაკებმა» ხმები გაავრცელეს, რომ მალე მოხდება გლეხების ცოლების გასაზოგადოება.

— სოხუმის მახლობლათ დასწვეს კოლმეურნეობის თამბაქოს საწყობი.

— ს. მიქელევანში (ქუთაისის მაზ.) მოკლეს კოლექტივის აქტიური წევრი კერელეიშვილი.

— სუფსაში (ოზურგეთის მაზ.) დასწვეს კოლექტივის წევრის სახლი, დაიღუპა მთელი ინვენტარი, ავეჯეულობა და მუშა საქონელი. სუფსის თემის მეორე სოფელში დასწვეს კოლმეურნეობის აქტიური წევრის გოგუაძის სახლკარი და მთელი ქონება.

— ს. ბადიაურში ღამით «კულაკები» თავს დაესხენ სოფლის საბჭოს, მოკლეს დარაჯი.

— ს. ორჯოხეთში (ქუთაისის მაზრა) სასოფლო კრების შემდეგ დასჭრეს კოლმეურნეობის წევრი ორმოცაძე. ს. ფარცხანაყანევში «კულაკმა» სცადა ხანჯლით მოკვლა წითელარმიელის, რომელიც სოფელზე იყო მიმაგრებული.

— ხონის რაიონში «კულაკებმა» დაიწყეს მუშა საქონლის, სახლების და ინვენტარის გაყიდვა.

— ჭალადიდში (სენ. მაზ.) «კულაკებმა» მალულად გააპარეს გასასყიდად ცხენები და კამეჩები.

— ს. ძველსენაკში ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეობის თივას და შეშას.

— ს. გადაქანში (სიღნაღის მაზ.) ცეცხლი წაუკიდეს კომუნის ბინებს, დაიწვა 16 ხარკამეჩი.

— თელავის მაზრაში გლეხებმა ერთიან მოსჭრეს კაკლის ხეები კოლექტივიზაციის შიშით.

— ქუთაისი. როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, მუშები და მოსამსახურენი, აგრეთვე სოფლის აქტივები თავიანთ დადგენილებებში დაბეჯითებით მოითხოვდენ ზარების ჩამოხსნას ეკლესიებიდან. საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა:—დააკმაყოფილოს მუშებისა და გლეხების შუამდგომლობა და მოხსნას ზარები ონის, ხონის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურისა და ქუთაისის ყველა ეკლესიებს, ხოლო სოფლებში მოხსნას ზარები დაკმაყოფილებულ-ეკლესიებს. ზარები გადაეცემა ინდუსტრიალიზაციის ფონდს.

— გურჯაანი. კულაკები ავრცელებენ ჭორებს, ვითომ საბჭოთა კავშირს მართებს გერმანიის ვალი; სოფლებში უნდა შეკრიბონ ბავშები 5 წლამ. და ჩააბარონ გერმანიას ვალის ანგარიშში. აქეზებენ შეუგნებელ გლეხებს: მოითხოვეთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ., რაკი კოლექტივში გაგაერთიანეს, ყველაფერი უნდა მოგცენო.

პ ა რ ი ზ შ ი

— ქართული ბალი. 4 მარტს გაიმართა ქართული ბალი, უნდა ითქვას, უკეთესი, უფრო ბრწყინვალე, ვინემ გასულ წლებში. პარიზში დიდძალი ემიგრაცია არის—ასი ათასები, ქართველი ემიგრაცია კი მხოლოდ წვეთია—ათასამდე. როგორია საყოველთაო ერთსულოვანი დაფასება? ასეთი ბალი ემიგრაციას არ მოსწრებიაო! მეტსაც ვიტყვით, თვით ფრანგებსაც ძვირათ გაუმართავთ მზგავსი. და ამას ამბობდენ ფრანგები, რომელნიც ჭარბობდენ ყველა დანარჩენებს. იყვნენ ბლომათ ინგლისელნი, ამერიკელნი, პოლონელნი და სხ. ქართველების მეზობლებს, უკრაინელთ ხომ არ ვათვლით.

დარბაზი ახალი სტილის პარიზის საუკეთესო უბანში, მოწყობილება მდიდრული, ჩაცმულობა პარიზული, მუსიკა სულ პირველი, ქართული შნო და ზომიერება. დივერტისმენტებში: დარბაისლური ლეკური (ორი წყვილი), ქართული ჰანგები (ბ. ნანობაშვილი), უცხოელი რომანსები (ქ. ბ. მაკ კორმიკ), აღმტაცი ბალეტი (11 წლის თუმანიშვილის ასული, დიდი ოპერის ვარსკვლავი), პარიზის წლევანდელ «დედოფლის» გამოჩენა.

ეს მიღწევა, გარდა თავის საქველმოქმედო მიზნისა, დიდ სამსახურს უწევს ჩვენი ეროვნული საქმის პოპულიარიზაციას. ქართველი ერი, ჩვენ იმედი გვაქვს, ჩქარა არ იქნება იძულებული სხვაგან ეძიოს სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ქართული ბალი, არა ნაკლებ ვართ დარწმუნებული, პარიზის ტრადიციად იქცევა მომავალში.

— პუბლიცისტი ვლ. ემუხვარი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან—იმ გეზის გამო, რომელიც წინაღმდეგ მისი მეცადინეობისა «თეთრი გიორგის» რედაქციამ აიღო,—თავი დაანება სრულიად ამ გაზეთში თანამშრომლობას.

— «შევარდენი». ქართველთა ემიგრანტულ ცხოვრებაში მოხდა ერთი აღსანიშნავი და სასიამოვნო მოვლენა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა «ქართველი სპორტული საზოგადოება «შევარდენი», რომლის წესდებაც დამტკიცებულია საფრანგეთის პოლიციის მიერ.

არ ვფიქრობთ, რომ ქართველი საზოგადოებისათვის საჭირო იყოს იმის მტკიცება, თუ რამდენათ აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის, განსაკუთრებით ემიგრანტულ პირობებში, სპორტის წარმოება და მისი განვითარება. ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ საერთო ცხოვრებას, დაინახავდა რა დიდი ყურადღებით ეპყრობიან სხვადასხვა წრეები მათი ერის ფიზიკურად განვითარების საქმეს ყველა ქვეყნებში. ერის გაჯანსაღება, ერის თავდაცვის საქმის განმტკიცება, ერის სხვადასხვა ფენების დაახლოებაგაცნობა—აი, სპორტის უმთავრესი მხარეები. ქართველობას, უფრო ვინემ რომელსამე სხვა ერს, სჭირდება სპორტი და ყველა ის დადებითი მხარე, რომელიც მას მოსდევს.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველი საზოგადოება და ყველა ქართული დაწესებულებანი არ დასტოვებენ უყურადღებოთ ამ სასარგებლო წამოწყებას და გაუწევენ «შევარდენს» დახმარებას, მორალურს და მატერიალურს. «შევარდენი» უნდა დავაყენოთ მკვიდრ ნიადაგზე. ამას მოითხოვს ჩვენი ერის ინტერესებიც.

— 30 მარტს მოჰხდა წლიური კრება «ქართველთა საზოგადოებისა საფრანგეთში». დაესწრო სამასამდე წევრი. ბ. დ. სხირტლაძემ მხურვალე სიტყვით მიჰმართა კრებას და ჰთხოვა დაეგმო ის ხებრული გამოსვლა რუსის ერის და კულტურის წინააღმდეგ, რომლითაც ისახელა თავი «თეთრ-გიორგმა». კრებამ ეს წინადადება მიიღო. მოხსენებიდან სჩანს, რომ გამგეობა გულმოდგინედ ჰმუშაობს; კასსაში კიდევ არის 10.000-მდე ფრანკი. მადლობის ჰნიშნად ბ. დ. სხირტლაძე ერთხმად ამორჩეულ იქმნა კიდევ საზოგადოების თავმჯდომარედ. კრება გადაიდო 4 მაისისთვის.

— ჩვენ მივიღეთ მესამე ნომერი ხელოვნების და მეცნიერების კრებულის «კავკასიოხისა». წიგნი ახდენს მშვენიერ შთაბეჭდილებას როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით. ამ გამოცემით «ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება» აშკარად ამტკიცებს, რომ ის ჰდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ვუსურვებთ ამ სასახელო აქტივობის გაგრძელებას და... გამარჯვებას.

— ზურაბ ავალიშვილის «ჯვაროსანთა დროიდან» მსუბუქია და წარმტაცი, როგორც რომანი; ღრმა და ჩამაფიქრებელი, როგორც მეცნიერული გამოკვლევა.

— ბევრია საინტერესო წერილები იმ ლამაზ და შინაარსიან გამოცემაში, როგორიც არის «მხედარი», ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო—№ 3.

Rédaction et Administration : 3, rue du Sabot, PARIS (VI)
Georges GVAZAWA

Gérant : G. MALLET.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon